



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 592  
28/03/2018

ქალაქი ბათუმი

592-05-4-201803281208



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზიური ფაროსანას წინააღმდეგ  
ღონისძიებების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის  
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 21 მარტის №1/1-  
701 ბრძანებით გადმოცემული ქონების გადაცემისა და მათ მიერ წამლობითი  
ღონისძიებების გატარების უზრუნველსაყოფად  
სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსის რეზო ვარშანიძის 2018 წლის 23 მარტის №843-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად *ვბრძანებ*:

1. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) რეზო ვარშანიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების ხელმძღვანელი- ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ) კობა თევზაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის თანამემწე - ჯგუფის წევრი;

დ) მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში - ჯგუფის წევრი;

ე) დავით სამნიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია - ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი;

ვ) იოსებ ბოლქვაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯგუფის წევრი.

2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 21 მარტის №1/1-701 ბრძანებით გადმოცემული ქონების (ბიფეტრინის შემცველი ინსექტიციდი და ფერომონიანი საჭერი) მოსახლეობისათვის განაწილება.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის

მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს მირზა ბახტაძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

